საიდ. №72708/03

IR 1161274

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №03-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბლანკო ოზტირიაკილერ მუტფაკ დონანიმი სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირკეთი” (BLANCO ÖZTİRYAKİLER MUTFAK DONANIMI SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №03-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ნოემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ №661/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PERA”

(საიდ. №72708/03, IR 1161274) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში მე-7 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საკვების საკეპი, დასაქუცმაცებელი, საღერღი, შემრევი და საჭრელი ელექტრონული მანქანები სამზარეულოსათვის, სარეცხი მანქანები, თეთრეულის სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, საშრობი მანქანები (არა გასახურებელი), იატაკის, ხალიჩებისა და იატაკის ფენილის გამწმენდი ელექტრული მანქანები, მტვერსასრუტები და მათი ნაწილები“ (Eclectic kitchen machines for chopping, grinding, crushing, mixing and mincing foodstuff, washing machines, laundry washing machines, dishwashers, spin driers (not heated), electric cleaning machines for cleaning floors, carpets or floorings, vacuum cleaners and parts thereof).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ნოემბრის №661/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „PERA“ ჟღერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის “პერი გმბჰ“ (PERI GmbH) სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „PERI“, (რეგ. N737411, რეგ.თარიღი: 15/06/2000). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები მხოლოდ ერთი ასოთი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-7 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, კერძოდ მე-7 კლასის საქონლის ნაწილში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ბლანკო ოზტირიაკილერ მუტფაკ დონანიმი სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირკეთი" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება, როგორც გრაფიკულად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. გრაფიკული თვალსაზრისით, განცხადებული ნიშანი წარმოადგენს ოთხი სტანდარტული ლათინური ასოთი შესრულებულ შავ-თეთრ აღნიშვნას **PERA**, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი კომბინირებულია PERI და წარმოადგენს ნარინჯისფერ მართკუთხა ფიგურაში მოთავსებულ სიტყვიერ აღნიშვნას „**PERI**", რომელიც შესრულებულია კაშკაშა წითელ ფერში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები ვიზუალურად სრულიად განსხვავებულად გამოიყურებიან, შესაბამისად, არ არიან აღრევამდე მსგავსნი და გამორიცხულია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებელი კომპანიის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ნიშნები განსხვავდებიან ფონეტიკურადაც. დაპირისპირებული ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორს „პერა", ხოლო განცხადებული, როგორც „პერი", შესაბამისად, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების ჟღერადობაც ვერ იქნება აღრევამდე მსგავსი, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მომსახურების გამწევი კომპანიის მიმართ. აპელანტის მითითებით, განცხადებულ ნიშანს არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი ინგლისურ ენაში შემოსულია სპარსულიდან და ნიშნავს: „კეთილი ფერია, კეთილი ანგელოზი" და „ლამაზი ქალი, ლამაზმანი". ასეთი შინაარსობრივი განსხვავებაც, ასევე, გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. ამდენად, ნიშნები

სრულიად განსხვავებულია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და სემანტიკურად. აპელანტის მითითებით, როგორც ცნობილია, ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება კონკრეტული საქონლის ან მომსახურების ჩამონათვლისათვის, რომელსაც ნიშნების იდენტურობის ან მსგავსების შემთხვევაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება. სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია დაპირისპირებული ნიშნები. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში საქპატენტის ექსპერტიზის ერთადერთ არგუმენტს საქონლის მსგავსებასთან დაკავშირებით წარმოადგენს ის გარემოება, რომ განცხადებული PERA და დაპირისპირებული ნიშნის PERI რეგისტრაცია მოთხოვება მე-7 კლასის საქონლისათვის. თუმცა, საქპატენტის ექსპერტიზა არ განმარტავს, კონკრეტულად რაში გამოიხატება განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვლის მსგავსება. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ორივე ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-7 კლასის საქონლისათვის, არ არის საკმარისი საქონლის მსგავსების დასადგენად. საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნიცის კლასიფიკაცია არ წარმოადგენს საქონლის ჩამონათვლის მსგავსების დადგენის ინსტრუმენტს, არამედ მისი მიზანია მხოლოდ საქონლის და/ან მომსახურების კლასიფიკაცია. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნიცის კლასიფიკაციის ერთსა და იმავე კლასში საქონლის და/ან მომსახურების არსებობა, არ შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც მსგავსების დადგენის არგუმენტი. შესაბამისად, საქონლის მსგავსების და/ან მომსახურების სახის, დადგენა ექსპერტიზის მიერ

უნდა მოხდეს ხასიათის გათვალისწინებით და არა ფორმალურად რომელიმე კლასისათვის მიკუთვნებით. აპელანტმა კომპანიამ შეზღუდა მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალი და ითხოვს განცხადებული სასაქონლო ნიშნის PERA რეგისტრაციას მე-7 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვლისათვის: „საკვების საკეპი, დასაქუცმაცებელი, საღერღი, შემრევი და საჭრელი ელექტრონული მანქანები სამზარეულოსათვის, სარეცხი მანქანები, თეთრეულის სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, საშრობი მანქანები (არა გასახურებელი), იატაკის. ხალიჩებისა და იატაკის ფენილის გამწმენდი ელექტრული მანქანები, მტვერსასრუტები და მათი ნაწილები“ (Eclectic kitchen machines for chopping, grinding, crushing, mixing and mincing foodstuff, washing machines, laundry washing machines, dishwashers, spin driers (not heated), electric cleaning machines for cleaning floors, carpets or floorings, vacuum cleaners and parts thereof), ხოლო დაპირისპირებული ნიშნის PERI საქონლის ჩამონათვალია - „სამუშაო პლატფორმები, რომლის სიმაღლეც შეიძლება დარეგულირდეს ძრავათი ან ხელით, ტვირთამწეები (ლიფტები) და მათი ნაწილები, მექანიკურად გადასაადგილებელი პარკირების მოედნები საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისათვის (Working platforms which can be height-adjusted by a motor or manually, elevators and parts thereof, mechanically movable parking spaces for automotive vehicles)“. დაპირისპირებული ნიშნების ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის შედარებისას აშკარაა მათ შორის არსებული განსხვავება. აპელანტის მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „ბლანკო ოზტირიაკილერ მუტფაკ დონანიმი სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირკეთი” აქტიურად მოღვაწეობს საქართველოში. 2005 წელს მან, როგორც თურქეთის ერთ-ერთმა კომპანიამ, მონაწილეობა მიიღო კავკასიის სამშენებლო, ხოლო სასაქონლო ნიშნით PERA ნიშანდებული საქონელი კომპანიას 2006 წლიდან შემოაქვს სარეალიზაციოდ საქართველოში, რის დასტურადაც სააპელაციო საჩივარზე

თანდართულია საბაჟო დეკლარაციები, შესაბამისად, სასაქონლო ნიშანი PERA ქართულ ბაზარზე გამოჩნდა იმაზე ადრე (12.05.2006წ.), ვიდრე საქართველოზე გავრცელდებოდა (გავრცელების თარიღი: 26.05.2006 წ.) და დაცვა მიენიჭებოდა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს PERI (13.12.2006), რაც დამატებითი არგუმენტიაა იმის დასამტკიცებლად, რომ კომპანია „ბლანკო ოზტირიაკილერ მუტფაკ დონანიმი სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირკეთი" ნიშანს PERA არ იყენებს არაკეთილსინდისიერად და მომხმარებელი კარგად იცნობს განცხადებულ ნიშანს, შესაბამისად, არ აერევა იგი დაპირისპირებულ ნიშანში PERI. აპელანტის განმარტებით, ის ფაქტი, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები მშვიდობიანად თანაარსებობენ აზერბაიჯანისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ბაზრებზე მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, წარმოადგენს დამატებით არგუმენტს განცხადებული ნიშნის რეგისტრაციისათვის ამ საქონლის მიმართ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ნოემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" №661/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PERA" (საიდ. №72708/03, IR 1161274) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში მე-7 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საკვების საკეპი, დასაქუცმაცებელი, საღერღი, შემრევი და საჭრელი ელექტრონული მანქანები სამზარეულოსათვის, სარეცხი მანქანები, თეთრეულის სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, საშრობი მანქანები (არა გასახურებელი), იატაკის. ხალიჩებისა და იატაკის ფენილის გამწმენდი ელექტრული მანქანები, მტვერსასრუტები და მათი ნაწილები" (Eclectic kitchen

machines for chopping, grinding, crushing, mixing and mincing foodstuff, washing machines, laundry washing machines, dishwashers, spin driers (not heated), electric cleaning machines for cleaning floors, carpets or floorings, vacuum cleaners and parts thereof).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ვიზუალურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ამასთან, კოლეგია განმარტავს, რომ მართალია, დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია, მაგრამ „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობის აუცილებელ წინაპირობას, ვიზუალურ, ფონეტიკურ და სემანტიკურ მსგავსებასთან ერთად, წარმოადგენს ნიშნების იმ საქონლის მსგავსება, რომლისთვისაც განცხადებულია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები. ნიშნებს შორის მხოლოდ ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება არ არის საკმარისი ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმისათვის, რადგან კანონის ზემოაღნიშნული ნორმა სავალდებულოდ მიიჩნევს დაპირისპირებული ნიშნების

საქონლის მსგავსებას. იმ შემთხვევაში თუ დაპირისპირებული ნიშნების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი სხვადასხვაა, ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის მხოლოდ ერთი და იმავე კლასებში, კერძოდ მე-7 კლასში არსებობა, თავისთავად არ გულისხმობს საქონლის მსგავსებას. კოლეგიას მიაჩნია, რომ იმდენად განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალი თავისი ბუნებითა და დანიშნულებით, რომ არ მოხდება ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-7 კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საკვების საკეპი, დასაქუცმაცებელი, საღერღი, შემრევი და საჭრელი ელექტრონული მანქანები სამზარეულოსათვის, სარეცხი მანქანები, თეთრეულის სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, საშრობი მანქანები (არა გასახურებელი), იატაკის. ხალიჩებისა და იატაკის ფენილის გამწმენდი ელექტრული მანქანები, მტვერსასრუტები და მათი ნაწილები" (Eclectic kitchen machines for chopping, grinding, crushing, mixing and mincing foodstuff, washing machines, laundry washing machines, dishwashers, spin driers (not heated), electric cleaning machines for cleaning floors, carpets or floorings, vacuum cleaners and parts thereof), ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია მე-7 კლასის შემდეგი საქონლის მიმართ: „სამუშაო პლატფორმები, რომლის სიმაღლეც შეიძლება დარეგულირდეს ძრავათი ან ხელით, ტვირთამწეები (ლიფტები) და მათი ნაწილები, მექანიკურად გადასაადგილებელი პარკირების მოედნები საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებისათვის (Working platforms which can be height-adjusted by a motor or manually, elevators and parts thereof, mechanically movable parking spaces for automotive vehicles)".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „PERA" (საიდ. №72708/03, IR 1161274) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბლანკო ოზტირიაკილერ მუტფაკ დონანიმი სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირკეთი" (BLANCO ÖZTİRYAKİLER MUTFAK DONANIMI SANAYİ VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 11 ნოემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" №661/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PERA" (საიდ. №72708/03, IR 1161274) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PERA" (საიდ. №72708/03, IR 1161274) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-7 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის

მიმართ: „საკვების საკეპი, დასაქუცმაცებელი, საღერღი, შემრევი და საჭრელი ელექტრონული მანქანები სამზარეულოსათვის, სარეცხი მანქანები, თეთრეულის სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, საშრობი მანქანები (არა გასახურებელი), იატაკის, ხალიჩებისა და იატაკის ფენილის გამწმენდი ელექტრული მანქანები, მტვერსასრუტები და მათი ნაწილები“ (Eclectic kitchen machines for chopping, grinding, crushing, mixing and mincing foodstuff, washing machines, laundry washing machines, dishwashers, spin driers (not heated), electric cleaning machines for cleaning floors, carpets or floorings, vacuum cleaners and parts thereof)

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ნ. გოგილიძე
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	ა. დალაქიშვილი